

## კოლხიდა

მზეო, მომეცი მე სიხალისე,  
სინათლე, რაც შენ მოგეპოება,  
და კოლხიდაში არ წავალ ისე –  
კოლხიდის ბედზე დავწერ პოემას.

ნეტავი იმას, ვინც ღია გულით  
კაცსა კაცური უთხრა სიმღერა;  
ნეტავი იმას, ვისი ჩონგურის  
დღესაც გაისმის სიმების ჟღერა!

ნეტავი იმას, ვინაც მოშაქრა  
ლექსის ჯიქანი და ხალხს აწოვა,  
მაგრამ, ვაი მას, ვინც ისე გაქრა,  
რომ მცირე კვალიც კი ვერ დატოვა!

ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია  
კაცის შუბლი და მგოსნის სინდისი,  
ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია –  
უკვდავი იყოს სახელი მისი!

ვინაც ყველაფერს ჩანგი არჩია,  
არ შეუქია ყველა მგზავრები  
და რომლის კვალიც მიწას აჩნია,  
ვით ნაფეხური დინოზავრების.

ადამიანი ბრძენი და გმირი  
მარად ანთებდა მგოსნებს – პოეტებს.  
ადამიანზე წერდა შექსპირი,  
ადამიანზე წერდა გოეთე.

მზეო, მომეცი იმედიანი  
სინათლე, ეშხი, ხმის სიტკბოება.  
აჰა, იწყება კოლხიდიანი  
გმირობისა და ბრძოლის პოემა.

÷ ÷

იყო წყვდიადი, კაცის სისხლს სვამდნენ,  
ქვეყანას შავი ნისლი ბურავდა,  
ადამიანებს კლავდნენ და წვავდნენ,  
დედამიწა კი მაინც ბრუნავდა,  
მიწასაც აჩნდა ტირანის დაღი

და მიწაც წუხდა კაცის იარით,  
რადგან კაცის შვილს ჰქვიოდა ძაღლი,  
და ძაღლს ჰქვიოდა ადამიანი.  
რამდენი შხამი, შხამი მჩაგვრელის  
შეუსვამთ ბედშავ კოლხიდის მონებს,  
რამდენი მთა და ხრიოკი ველი  
მოურწყავს მათი ცრემლების მორევს,  
იმდენი ქვა და სამსალა გველის  
მათ დამჩაგვრელებს და მათ ბატონებს!  
და, როცა კაცი კაცის სისხლს სვამდა,  
ადამიანი სანთლით ეძებეს...  
მიაგნეს, ნახეს - ბრჭყალებში ჰყავდათ  
დამონებული მწევარ-მეძებრებს.

\* \*

ამ სტრიქონების დამწერს უნახავს  
მოხუცი ერთი - სახენათელი,  
რომელსაც ბევრჯერ გადაულახავს  
ჭაობიანი კოლხიდის ველი.  
უნახავს იგი, სახენათელი,  
სატევარით და შავი ჩოხითა,  
ამ მოხუცს უთქვამს ამბავი ძველი,  
თუ როგორ გაჩნდა ქვეყნად კოლხიდა:  
იყო წყვდიადი, იყო სიბნელე...  
უძლური იყო კარაბადინი,  
ნისლი ებურა კოლხიდის ველებს  
და ლაქაშებში რბოდა ნადირი,  
და ლაქაშებში სრესდა ფრინველებს  
ტახი, მთებიდან გადმოვარდნილი.  
იყო წუხილი და გულსაკლავად  
ყრმათა აკვნები ფშანში ეყარა  
და, როგორც ყანა გაუმარგლავი,  
წუხდა ხალხი და წუხდა ქვეყანა.  
მონის უღელში გმინავდა ხალხი,  
ხალხის ნაშრომი მიჰქონდა გველებს,  
თალხი ებურა ქვეყანას, თალხი...  
თალხი ებურა კოლხიდის ველებს.  
- მიწას არ ძალუძს ჩვენი დარჩენა!  
- მიწა ბერწია და ცოდვით მკვდარი!  
წყევლიდა თავის დღეს და გაჩენას  
კოლხიდის მკვიდრი და ბინადარი.  
ტიროდა ხალხი და ხალხის ცრემლით  
იბერებოდა კოლხიდის მიწა,  
ცრემლმა გაახმო უვალი ტევრი  
და ხალხის ცრემლი ჭაობად იქცა.

ცრემლმა დახეთქა კოლხიდის მიწა  
და დაიარა ცრემლმა ტევრები,  
ცრემლმა ქვეყანას ნაყოფი მისცა  
და ცრემლი ჩადგა ყურძნის მტევნებში.  
ცრემლმა ადიდა ცოდვა და მადლი,  
მერეხად იქცა ცრემლი - კურცხალი,  
მან გააყვითლა მნათობი ბადრი  
და აადიდა პონტოს ზღვის წყალი.  
პონტოს ზღვის ღელვას სხვა გმირი მოჰყვა,  
დაატრიალა გველებში დაშნა,  
შეწყდა მშრომელთა ცრემლი და ოხვრა,  
მერე კოლხიდის ჭაობი დაშრა,  
რადგან ზღვახალხის ცრემლები დაშრა  
და ხალხმაც შესძლო მკლავების გაშლა"...  
ასე მიაშბო მოხუცმა ძველმა  
მოგონებები მწარე ოხვრითა,  
რომ ხალხის თვალით ნადენმა ცრემლმა  
შექმნა ჭაობი - ძველი კოლხიდა.

÷ ÷

ნამდვილი ღამე - კოლხიდის ღამე,  
ჭაობში ფაცხა, ლელი და ძეწნა,  
- ღმერთო, გვიშველე, მოგვხედე წამით,  
- ღმერთო, გაიგე მოკვდავთა ხვეწნა!  
ღმერთო, ისმინე ვედრება ჩვენი,  
გადაივიწყე ცოდვები ძველი!  
ისმინე ჩვენი ძალღური ყოფის  
ამბავი, ზეცის ძლიერო თვალო! -  
ევედრებოდა ღმერთს ავადმყოფი,  
დასიებული და მოყვითალო.  
ჩემი პოემის ლომკაცი გმირი  
ეთხოვებოდა მომაკვდავ მშობლებს;  
ქარს ცად მიჰქონდა ძახილი გმინვით:  
- ღმერთო, მოხედე  
ქვრივსა და ობლებს! -  
ღმერთი კი ისე, როგორც ყოველთვის,  
დუმდა, თუ იყო, - იყო უღონო,  
კიდევ ვიწამოთ ძლიერება ღვთის! =  
შეჩვენებულო ძალლო და ღორო!  
ამოიგმინა მოხუცმა მკაცრმა,  
აღრჩობდა წლობით ნაგუბი სევდა,  
- გადაგვივიწყა ღმერთმაც და კაცმაც,  
ჩემო გაზრდილო, ჩამოჯექე ჩემთან!  
- წყეული იყოს ღმერთიც და კაციც,

ხემაც ნაყოფი არ გამოიღოს,  
ყველას უყმური ჩაუდგეს ტანში  
და ყველაფერი წყეული იყოს!  
წყეული იყოს, თუ იყოს სადმე  
ღმერთი, შექმნილი კაცის ენითა,  
და ეს ქვეყანა აივსოს ცამდე  
შხამით და გესლით მორიელისა.  
დაიღრჩოს გველი, არ დარჩეს ერთიც  
და მამაღმერთი, ვით კაცის ბოდვა,  
ათი ათასი ურწმუნოს გვერდით  
დააღრჩოს ჩვენმა შხამმა და ცოდვამ.  
- ჩამოხსენ ხატი,  
დასწვი და წადის!...  
თქვა ეს და უმალ აეკვიატა  
სიკვდილის ბნელი ანთებულ თვალებს  
და მიწვა იგი ისე ზვიადად,  
როგორც ჭაობში ყვითელი მთვარე.  
აენტო გმირი - დაწვებსოველი,  
ცეცხლს მისცა ხატი - განათდა ბნელი  
ცეცხლზე იწოდა თვით ღვთისმშობელი,  
"ყოვლადძლიერი" და "ყოვლისმქმნელი".  
= შვილო, ეს რა ჰქენ? - შეჰკვივლა დედამ, -  
შვილო, სიამევე ჩემი გულისა?=  
- ღმერთმა გაგვრისხა, გაგვრისხა, დედი,  
და ერგო რისხვა დაღუპულისა.  
- ღმერთი, ო... ღმერთი რომ იყოს, შვილო,  
ჩვენც მოგვხედავდა კოლხიდის ხალხსა,  
შვილო, მშობლიურ კერაზე ტცბილო,  
აქ დარჩი და არ წახვიდე არსად!  
ხომ უსმენ ჩემი მარღვების ცემას?=  
მე მივიცვლები, იმედო, მალე,  
და, საყვარელო ბიჭიკო ჩემო,  
აქვე გორაკზე დამასამარე.  
მე და მამაშენს გაგვიჭერ ტკბილი  
სამარე, ფშანის ლერწამის ღერით  
და უბედურნი, ტანჯვით შობილნი,  
დაგვასამარე შვების სიმღერით.  
შვილო, იცოდე, არ მიატოვო  
ლაქაშიანი კოლხიდის ბაღი,  
შვილო, ისმინე, მინდა, რომ გთხოვო,  
არ დაივიწყო ჩვენი ქობმახი:  
კოლხიდის მიწა - ბერწი, გამხდარი,  
შენი მშობლების ცივი სამარე,  
იცოდე, გავა მკაცრი ზამთარი  
და გაზაფხული დადგება მალე.  
არ დაივიწყო მშობელი მიწა,

საყვარელი და ტკბილი ყველაზე,  
ლაზის ოჯახი არ გააბილწო  
და არ ჩააქრო ცეცხლი კერაზე.  
ახლა, თოლიგე, ბიჭო, ჩემო დე...  
ჩემო დედიკო, შენ გენაცვალე,  
ვიდრე სიკვდილი მოფრინდებოდეს,  
დაუხუჭავდეს შენს მშობელს თვალებს,  
მითხარ ის ტკბილი სიმღერა მალე,  
რომ აელვარებს მათათა მწვერვალებს.  
მითხარ, იმედო ჩემი გულისა,  
ჰიმნი კოლხიდის გაზაფხულისა!  
- დედ, გაზაფხული მოვა და მალე  
აყვავილდება კოლხიდის ველი.  
მზე ცის თალიდან გაახელს თვალებს  
და მოისპობა ჭაობში გველი.  
მზე გაანათებს მაღალ მწვერვალებს,  
აჟღურტულდება ფშანში ფრინველი.  
დედ, გაზაფხული მოვა და მალე  
აყვავილდება კოლხიდის ველი!  
"იანვრის შემდეგ მაისი დგება",  
მალე გაიარს მკაცრი ზამთარი,  
დედი, ხომ ხედავ, თოვლი რომ დნება=  
დედი, ხომ ხედავ, ღმუის აფთარი=  
"იანვრის შემდეგ მაისი დგება",  
მალე გაიარს მკაცრი ზამთარის!.. -  
მღეროდა გმირი მშობლების ფეხთან,  
სარკმლიდან სცემდა სინათლე დილის:  
ნათელი წყვილიადს უღონოდ შეხვდა,  
გამარჯვებული დარჩა სიკვდილი...

\* \*

ვერ მივატოვე პოემის გმირი -  
კვლავ მომეხვივნენ სიტყვები ირგვლივ,  
მკლავდა დუმილი გულისგამგმირი,  
ახლა მე თვითონ მოვკალი იგი.  
დატოვა ტკბილი ფაცხა მეგრული,  
სამარე დედის, სამარე მამის,  
ჩაიდგა გმირმა პოეტის გული,  
დაიძმობილა წყვილიადი ღამის.  
თავის საშველად...  
გაიჭრა ველად.  
მაგრამ მშველელი არსად არ ჩანდა,  
გმინავდა ხალხი, ხუნდზე დაბმული,  
იზმორებოდა ლაქაშში ზანტად

ველი ველური და უდაბური.  
გარბოდა გმირი... ვილაც ემახდა –  
გაწამებული ცხოვრების გესლით:  
"დღე დაიღამე მშობლიურ სახლთან  
და არ ჩააქრო კერაზე ცეცხლი!"  
ანთებდა ცეცხლს და ცეცხლის ენები  
სწვდებოდა ზეცას, უნდოს და მუხთალს,  
გმირი, ბედისგან განახლები,  
მარტობას და ობლობას წუხდა,  
თუმცა გველებმა ველი მოშხამეს  
და მზის ხელები მოიგერიეს,  
მაინც ანათებს კოლხიდის ღამეს  
ცეცხლი საწყალი კაცის კერიის.  
დარბოდა ველზე ველური ქშენით,  
მონობისაგან შეიქმნა ხელი,  
კაცისშვილსა და კაცის გაჩენილს  
გადაავიწყდა თავის სახელი.  
და შემდეგ თურმე ქვეყნად პირველად, –  
ამბობს ლეგენდა გასაკვირველი, –  
კამეჩიც რქენით გაიჭრა ველად  
მონობისა და ჩაგვრის მხილველი.  
მემატიანის გაბზარულ ხმაში  
შემდეგ ამბავსაც გაიგებთ ახალს:  
იქცევა თურმე ქვეყანა მაშინ,  
როდესაც კამეჩს გაქცეულს ვნახავთ!  
მაგრამ კოლხიდის ამ ბნელ ღამეშიც  
არ დაქცეულა მაინც ქვეყანა:  
მზემ სიყვარულით ნახა კამეჩი,  
რომ ჭაობიდან ამოეყვანა,  
მზემ გაანათა ხმელეთის პირი  
და სავალალო ამბავი ნახა –  
ფშანში ჩაფლული – პოემის გმირი,  
და მისი დახსნაც მზემ განიზრახა.  
მაგრამ წყვილიადის ურჯულო ხელმა  
ისევ დახურა სინათლის წიგნი,  
კვლავ გაიმარჯვა ნათელთან ბნელმა  
და კვლავ კოშმარი გამეფდა ირგვლივ.  
ისევ დაღამდა, მაგრამ ამ ღამით  
ისევ შეება ბოროტს კეთილი...  
ნათლის და ბნელის ბრძოლის ამბავი  
შემდეგ თავშია გამოკვეთილი.

\* \*

ამ ღამით იძრა კოლხიდის მიწა,

გავარდა მეხი, გამოკრთა ელვა,  
ავმა სულეზმა გამოიღვიძეს  
და ჭინკამ ცხენი შემოაგელვა.  
თქვენ თუ გინახავთ ჭინკა სარდალი,  
მამამთავარი ყველა ჭინკების,  
მაშინ მეტყვით, რომ არის მართალი,  
დამერწმუნებით, აი გაჯიქდებით.  
ცოცხს მიუგავდა ჭინკას პირსახე,  
ჩხაოდა, მოძმეს უხმობდა ყველას.  
(მორწმუნეებო, გადაისახეთ  
პირჯვარი, როგორც იცოდით ძველად!]  
ნეტავ, რომ ღმუის, რა ნადირია?=  
რამ ააბორგა ასე რიონი?=  
მოდის ჭინკების ესკადრილია  
და ბაყაყების ბატალიონი.  
და შენ, მკითხველო, ნუ გეშინია,  
(თითქოს გაციებს, ისე კანკალებ!)  
რა ვუყოთ, რომ აქ ასე ხშირია  
კოლო, ბაყაყი და ბუზანკალი.  
მკითხველო ჩემო, მომყევი ასე,  
ნუ შეშინდები აქაურ ბინდით,  
წამოდი ჩემთან, მე შენ დაგასწრებ  
ბაყაყების და ჭინკების მიტინგს.

. . . . .  
ხენეშის ჭაობი შხამით, დურბელით,  
უჟმურითა და ციებით სავსე,  
ცაზე დაბობლავს შავი ღრუბელი  
უზარმაზარი ობობას მსგავსი.  
- მოისპოს მათი მოდგმა და ჯიში,  
ვინც ჭაობშიაც არ მოგვასვენა,  
არ დავინახო ცრემლი და შიში,  
ჩემო ლაშქარო, დადექი, სმენა!  
ალიართალი, ბალიართალი,  
თქვენი ტყუილი, ჩვენი მართალი!  
ხელში მათრახად ეჭირა გველი  
ლაქაშიანი კოლხიდის ველის.  
საცრისთვალეზა ჭინკების წყება  
მოდის, მოცეკვავს, მოარხევს კუდეზს,  
მაძლარი გველი ბაყაყთან წვეზა  
და ძველებურად მას აღარ უტევს.  
მოდთან ფშანში და მერე ჩრდილში  
უერთდებიან მავნეს და ოხერს,  
ჭინკამ არ იცის არასდროს შიში  
და არც არასდროს ამოიოხრებს.  
ჭინკას პირის ღრუ სავსე აქვს ცეცხლით  
და ყურებიდან სცვივა ნაცარი,

ჭინკას მოჰყვება ყოველი მხეცი,  
ყოველი მავნე და ნაკაცარი.  
ჭინკას უჟმურით სავსე აქვს ფერდი,  
ჭინკა კვამლს უშვებს ცისკენ ბოლებით.

ვხედავ, დგებიან ჭინკების გვერდით  
ყველა ხუცები და ბობოლები.

- ალიართალი, ბალიართალი, -  
იწყებს ხმამაღლა ჭინკა-სარდალი:

- ჭინკებო და ბაყაყებო,  
გველებო, და მხეცებო,  
სად წავიდეთ, რომელ მხარეს,  
ბინა საით ვეძებოთ?

ხვალ მოდიან კოლხიდაში  
და კოლხიდას აშრობენ,  
უძლეველი ხალხის რაზმებს  
ინჟინრები მარშლობენ.

ხვალ დილით სხვა მზე ამოვა  
და კოლხიდა დაშრება,

გადავიქცეთ სატევრებად,  
გადავიქცეთ დაშნებად,

მზის ამოსვლა შევაჩეროთ,  
ხალხი მოვსრათ, შევაჩვენოთ,

ურა კვიცი შევაჭენოთ!  
და ლაშქარი ახმაურდა

ხმით მზარავით, ბოხითა;

- გადაუტყდეს თოხი ტარში  
და მოისრას კოხითა,

ვინც მოვიდეს კოლხიდაში,  
ვინც წაგვართვას კოლხიდა!

- შევაჩეროთ მზის ამოსვლა!

- მოვსრათ მათი ლაშქარი!

- ვლენოთ მათი მუზარადი  
და ფოლადის ჩაჩქანი!

- შევაჩეროთ მზის ამოსვლა!

- მოვსრათ მათი ლაშქარი

. . . . .

მოდის ლაშქარი, ტყე-ველს ედება  
(მცენარეები დილის ცვარს სვამენ).

ჭინკებს ჰგონიათ: არ გათენდება  
და საუკუნოდ დარჩება ღამე.

და იმღერიან:

გარინდებულა

კოლხიდა და ჩვენ კოლხიდის ზე ვართ...

მაგრამ ამოხდა მზე დიდებულად

და გაანათა ქვეყანა მზემან.

მზეს თან ამოჰყვა შობილი მზისგან



ერი ურიცხვი, ვითა ყვავილი  
და, ხალხის წინ რომ წერაქვით იდგა,  
იცანით? – ჩემი პოემის გმირი!  
და ბრძანა გმირმა: რომ ჩვენი მტერი  
ჩვენივე ხელით უნდა მოისრას,  
ასე გვასწავლის მოხუცი, ბრძენი  
ადამიანი ჩვენი დროისა,  
მზის მოელვარე თვალითა ბრიალით  
დაიბნა ავი სულების ბანდა,  
ეკვეთა ხალხი ურყევი ძალით,  
ლამის ბურუსი გადაიფანტა.  
აივსო ავი სულების ცრემლით  
ცისა და მიწის ბასეინები  
(ხომ არ შეწუხდა მკითხველი ჩემი,  
ბესიკის ბაღში ნასეირნები?)  
გაფანტა ბნელი სინათლის ნაღმმა  
და გასრესილი სინათლის ტერფით,  
მკვდარი ბაყაყი ეგდო გულაღმა,  
როგორც ნიკოლოზ ხელმწიფის ღერბი.  
ყველა ორგული და დანავსული  
ხალხმა გასრისა, დასცა ზრიალით,  
უფსკრულმა შთანთქა ყველა ავსული,  
ყველა ბოროტი და კუზიანი,  
და ისე, როგორც ტურფა ასული  
მოვიდა ქვეყნად დილა მზიანი.

÷ ÷

მთვარემ დადგა ვერცხლის ტახტი,  
მზემ აიღო დილით...  
და მზე ისე აჩახჩახდა,  
სულ დაფანტა ჩრდილი,  
კოლხიდაში ყოველ მხრიდან  
შემოვიდნენ ლაღად  
ციტრუსები და კოლხიდა  
გადაიქცა ბაღად  
... ..  
მე ვუმღერი მზიან ველებს,  
განახლების ქარებს  
და დღეს ვუღებ ჩემს მკითხველებს  
ოქროს ბაღის კარებს.

÷ ÷

რა დიდებული მოსასმენია  
კოლხიდას ბაღში ბულბულთა სტვენა,

როცა ცის ნამით მიწა სველია  
და ისმის ვარდის ფოთოლთა ცვენა,  
დე, მოვიდეს, რაც მოსასველელია,  
მუზამ მგოსანი არ მოასვენა.  
მოვიდნენ აზრის მძლე ურდოები  
და მგოსნის გული დაიმარტოვეს,  
შარიშურობენ ბაღში რტოები,  
ვაშლის ხეებმა ველი დათოვეს,  
მოვიდნენ აზრის მძლე ურდოები  
და მგოსნის გული დაიმარტოვეს.  
გინდა სიწყნარე და სიმარტოვე,  
ტყუილად ფიქრობ, ტყუილ ირჯები –  
კოლხიდის ბაღში არ მიგატოვებს  
მანდარინები და ნარინჯები.  
არ მიგატოვებს ნათელი მზისა,  
ბაღი, ნაყოფით დამძიმებული.  
არ მიგატოვებს შლეგი ფაზისი,  
ბერძნულ მითებით გაბრწყინებული.  
ოი, ფაზისო, ტალღების ცემით  
რამდენი მგოსნის წაიღე მოთქმა,  
ვფიქრობ, რომ რიგი მოვიდა ჩემი  
და მეც მეღირსა ენის ამოდგმა,  
მე კი, სხვასავით არ ამაკვნესებს  
კლდიან ნაპირზე შენი ალერსი,  
მე შენს ხმაურში სიცოცხლეს ვეძებ  
და სიჩუმეშიც შრიალი მესმის.  
დავსვათ წერტილი; ცოტა ხანს შევდგეთ,  
განვაგრძოთ თხრობა  
დაწყებულ ამბის  
და სადმე ცალკე ვიმღეროთ შემდეგ  
ფაზისის ოდა და დითირამბი.  
და მაგონდება ლაზი მონები,  
და მაგონდება ამორძალები,  
როცა მიმზერენ მე ლიმონები,  
ასე სათუთად და მოკრძალებით.  
ზურმუხტოვანი, კოლხიდის ბაღი!  
სადაა მოდგმა და წინაპარი!  
გახსნილა ზეცის შვიდივე თალი  
და ახდენილა ძველი ზღაპარი.  
მე სად ვეძებო თქვენი გზა-კვალი,  
უძღური არის ამ დროს პოეტი,  
მაგრამ ვიცი, რომ თქვენი აკვანი  
არის ჩინეთი და ინდოეთი.  
თქვენი შემოსვლით და მობრძანებით  
გულიდან დარდი გადაგვეყარა,  
თქვენ კოლხიდაში ოქროს ზარებით

შემოიყვანეთ ცათა ქვეყანა.  
თქვით, სად გველები ბუნაგი არი:  
გვინდა ბინა და ბალი მზიანი,  
მერე განკურნეთ ხუნაგიანი,  
მერე განკურნეთ რახიტისანი.  
თქვენ ხართ სამშობლო ბედნიერების,  
მზეში შობილნი და მზისნაირნი,  
თქვენზე მღერიან ყველა ერები,  
ქართველი, რუსი და ისრაილი.  
თქვენზე მღეროდა გრძელწამწამები-  
ანი ჩინელი - ძველი მგოსანი.  
თქვენ სიდუხჭირე მოსპეთ წამებით  
და ციება და ჟამი მოსსართ.  
თქვენში სიცოცხლე ლივლივებს მძაფრად.  
ანათებთ ღამით, ანათებთ დღისით,  
ჩემს ლექსებს უყვართ ზღაპრული დაფნა  
და სათნოებაც აკვირვებთ მისი.  
და ღამით, როცა აჩახჩახდება  
ბალი, ვით ზეცა ძველი ეგრისის,  
ვმღერი - ნეტა მას, ვინც რომ გახდება  
კოლხიდის დაფნის გვირგვინის ღირსი.  
ო... მე არ მინდა სხვა საჩუქარი  
და არც ჰაფიზის ვნატრულობ ვარდნარს,  
მე პოეტი ვარ ფიცხი და ჩქარი  
და მიყვარს ციდან ვარსკვლავთა ვარდნა,  
ჰე, ცხრა მუზაო, მე უნდა მენდოთ,  
ვნატრულობ ღამით, ვნატრულობ დღისით.  
და გთხოვ, გამხადო, მუზების ღმერთო,  
კოლხიდის დაფნის გვირგვინის ღირსი.  
ლიმონის ბუჩქი დგას დახუნძლული  
და ქარვისფერი ნაყოფი შვენის,  
ხესაც ეტყოდა აქ დახუთული:  
კურთხეულ იყოს მომყვანი შენი!

.....  
მე ოქროს ვერძით წარსულში მივქრი,  
ეგ მთებიც ვერძის ხმაზე მღერიან.  
დგანან ხეები, გაზრდილნი ფიქრით  
და ვერძებრ ყელი მოუღერიათ.  
შთაგონებაში მითები ძველი  
ახლდება, ხდება გასაოცარი,  
მღერის ლექსებით, გულის დამწველით,  
ორბელიანი, დიდი მგოსანი÷.

- "ძველო ქვეყანავ,  
კოლხიდავ, მითხარ  
დავიწყებული, როგორ და რით ხარ"  
არგონავტოვან ძველად განთქმულო,

აღთქმის წერილში მოხსენებულო,  
 შენი შვენება და ისტორია -  
 მითხარი, ნუთუ სავიწყარია:≡  
 მშვენიერებით, სიტურფით სრული  
 ნეტავ რისთვის ხარ დავიწყებული:≡  
 ზვირთი პონტოსი შენ გააღერებს,  
 ცა - ლურჯი, წმინდა შენზედ ელვარებს,  
 მთა დიდებული ასული ზეცას,  
 ბრწყინვალე სხივით გვირგვინად გადგას,  
 ფაზისი მორბის და ოქროს ზიდავს  
 და შენს წიაღში უქმად კი ბრწყინავს.  
 შენზედ ჰყვავიან მედეს ასულნი,  
 მშვენიერებით ქვეყნად განთქმულნი".  
 - მოხვედი, ცისკენ აღმართე ხელი  
 და ჩვენ კი გვერდი აგვიარევი,  
 მგოსანო, შენი საგალობელი  
 არის ძველი და ნაგვიანევი.  
 სიმღერა მაინც გვალეღვებს დიდად,  
 რადგან კუთხეზე გტკიოდა გული,  
 შენი კოლხიდა, დიდი კოლხიდა  
 დღეს აღარ არის დავიწყებული.  
 ქარვების ბაღში მედეას სძინავს,  
 სიყვარული და სიტკბო დიდია,  
 ფაზისის ოქრო უქმად არ ბრწყინავს,  
 აქ ხეებზედაც ოქრო ჰკიდია.

÷ ❄ ორბელიანი დიდი მგოსანი❄ - აქ ნაგულისხმევია მე-19 საუკუნის ქართველი  
 პოეტი ვახტანგ ორბელიანი.  
 - იყავ კეთილი ჩვენი სტუმარი! -  
 ეტყოდა მგოსანს ხილთა კრებული,  
 ორბელიანი იდგა მდუმარი,  
 სხივოსანი და ჩაფიქრებული.  
 მზე მიცურავდა სხივთა რიალით,  
 ცაზე დაქროდა სამხრეთის ქარი,  
 იდგა პოეტი ორბელიანი,  
 გაღიმებული, როგორც ცისკარი.  
 ციტრუსები კი მღეროდნენ  
 ხოტბითა და ოდით;  
 წამს შეირხა, როგორც ელვა  
 და აკივლდა ტოტი:  
 - ალავერდი! ალავერდი!  
 მოვრჩით ცდას და ლოდინს;  
 ღვინისა და თრობის ღმერთი,  
 დიონისე მოდის!

გრძელდება თხრობა ჩემი თქმულების –  
მოდიან მწიფე მტევნით ვაზები,  
მამაკაცივით ფეხადგმულები  
იღრიჯებიან, ვით ჯამბაზები...  
და დიონისე ლოყებწითელი,  
ულვშიანი და ჯიშიანი –  
მათ წინ მოუძღვის, თან მოაქვს ხელით  
ასი წლოს ვაზი, ფოთოლთ შრიალით.  
ორბელიანი ხვდება თავაზით  
და მღერის ქებას ღვინის და ვაზის.  
ხილთა შეხვედრამ და ხილთა ქებამ,  
რომ მოგვაგონოს თვით ხილის გემო,  
ვნატრულობ დიდი რუსთველის ებანს,  
პატიოსანო მკითხველო ჩემო.  
მოდიან ათას ჯიშის ხეები,  
ამბობენ: ხმელი მოვიარენით,  
დავტოვეთ მთები, საჯიხვეები,  
მხიარული და მგლოვიარენი.  
გვზარდა სამშობლოს მთებმა, ველებმა,  
მოვსულვართ თქვენთან რაინდულ ფიცით:  
გვინდა ვიხილოთ საკვირველება  
ბარაქიანი კოლხიდის მიწის.  
და ციტრუსოვან ხილთა კრებული  
გაბრწყინებული, ვით ქარვასლები,  
იმზირებიან გაკვირვებულნი,  
როგორ მოდიან მათთან ვაშლები.  
ამწვანებულა ბაღში ჰერანი,  
დაფნა და ვარდი ათასნაირი,  
თუ ხარ პოეტი და მომღერალი,  
უთხარი ლექსი შოთას შაირით.  
კოლხიდა როგორ არ შემეყვარდეს,  
როცა ვუყურებ მაისის ვარდებს –  
იმღერე, და თუ არ გეშინია,  
რომ ოქსში ვინმეს დაუვარდები,  
ეს ყვავილები ყველა შენია,  
ეს ზამბახები და ეს ვარდები!  
ვარდი ყვავილთა დედოფალია,  
ვარდი – მიჯნური დიდი ჰაფიზის,  
მგოსნის ცრემლები ვარდისწყალია  
და ვარდისწყალი – ცრემლები მისი.  
ირანში თურმე ასე იტყვიან:  
– ვარდი ალაჰის საჩუქარია,  
ჩვენში – ვინც შრომობს, ვარდიც მისია,  
ვარდიც მისია და უხარია.  
და არ იშლება ჩემი ხსოვნიდან.

ირანში თურმე, იტყვიან ერთსაც,  
რომ იქ ბალახიც არ ამოვიდა,  
სადაც მაჰმადის ცრემლი დაეცა.  
კოლხიდაში კი ვარდებს მოგიტანს  
და ასე გეტყვის ყოველი გლეხი:  
- პირველი ვარდი იქ ამოვიდა,  
სადაც მშრომელმა დაადგა ფეხი!  
ვარდი მეც მიყვარს გულის დამწველად,  
სამშობლო მიწავ, სამშობლო ცაო,  
და, როცა მოვკვდე იმას ვთხოვ ყველას, -  
კოლხურ ვარდებში დამასაფლაონ!

. . . . .

ხვდებიან სტუმრებს თვალებმზიანი  
და ოქროვანი მანდარინები,  
ეუბნებიან ადამიანებს:  
- ჩვენი ნაყოფი მოდით, ინებეთ!  
ჩვენი ნაყოფი გაგიხსნით მადას  
ბედნიერების ნექტარით სავსე,  
ნუ დაიჯერებთ, ბრძენ ჰიპოკრატეს  
სადღაც, ოდესღაც რომ უთქვამს ასე:  
"ამ ქვეყნის ხილს ცუდი გემო  
აქვს და მალე სწყდება ტოტებს,  
წყლის სიუხვის გამო იგი  
არ მწიფდება არასოდეს".  
გადაივიწყეთ ამბავი ძველი -  
რა ვუყოთ, ერთხელ შეცდება ბრძენიც!

. . . . .

მზე იყურება ბავშვის თვალებით  
და დედამიწას უგზავნის ალერსს,  
ნაირ-ნაირი შადრევანები  
აფერადებენ კოლხიდის მხარეს.  
ახლოს ჩანს - დიდი სასახლის კარი,  
კოლხიდელები რომ აშენებენ,  
შორს - უსარკმელო ძველი საყდარი,  
თვალებდათხრილი ოიდიპოს მეფე.  
არის სერობა, არის ზეიმი  
ადამიანის, მზის და ბუნების,  
და საარაკო თვალისერი  
სვებედნიერი შეძლებულების,  
ბრწყინავს ზურმუხტის სხივდაფრქვეული  
ვარდის სურნელით სავსე ჰაერი,  
დგანან ხელიხელგადახვეული  
ქართველი, რუსი და ისრაელი.

ასეთი იყო ხილთა სტუმრობა  
სანახაობა თვალის,  
ჩემი ნათქვამის დადასტურება  
ჩემივე ლექსი არის.  
მაგრამ სტუმრობა, წარმტაცი მეტად  
მე ვინახულე დილით,  
როცა ბედნიერ მეგობრებს შეხვდა  
ჩემი პოემის გმირი.

\* \*

რიჟრაჟი იყო, გალობდა ბაღში ბულბულთა კრებული  
მზე მონადირე მეგონა, სახუნდარს მოფარებული.  
და მერე, როცა ამოხდა მზე გოლიათურ მთებს ზევით,  
ფაზისის წმინდა ტალღებში ბრწყინავდენ ოქროს თევზები.  
გადახვეოდნენ ერთმანეთს დამძიმებული ტოტები,  
მკერდში ჩაეკრათ მზისაგან გაბრწყინებული ოდები,  
ციდან სცვიოდა რიალით ოქროს სხივების შურდული,  
იყო ფოთოლთა შრიალი და ჩიტუნების ჟღურტული.  
თავს იწონებდა ამინდით ზაფხული ნამნაპკურები,  
ბილიკზე ნელი ნაბიჯით მოირხეოდნენ სტუმრები.  
შეჩერდნენ... წყნარად შეაღეს პირველი ოდის კარები,  
გაშლილი სუფრის გარშემო ჩონგურს უკრავდნენ ქალები  
(ბედნიერია, მგოსნებო, ჩემი შაირის პწკარები).  
იხილეს გმირი პოემის – ცხოვრებით განახარები.  
იხილეს, გადაეხვივნენ, აუფართქალდათ გულები,  
იყო გულთბილი შეხვედრა და სიხარული უღევი.  
მზისგან დამწვარი მკლავებით მკერდში ჩაიკრეს ჩვილები,  
კოლხურ მიწაზე გაზრდილი – პოემის გმირის შვილები.  
პოემის გმირმა ცოლს უთხრა: ჩონგური მოიტანეო,  
ლექსი იმდერე ქებული, ჩემო მზევ, ჩემო მთვარეო,  
ჩვენი ძვირფასი სტუმრები დაატკბე, გაახარეო!  
მოვიდა ქალი ჩონგურით მწყაზარი, პირმცინარეო,  
ქმარს უთხრა: – ქმარო, მოვედი, შენი მზე, შენი მთვარეო,  
შენი გათლილი ჩონგური მოგართვი, მოგიტანეო,  
ლექსი ვიმღერო ქებული, სტუმარო, გაიხარეო:

- ნანა, ნანა, დია ნანა  
სულზე ტკბილო ჩემო ნანა,  
სიკვდილი მას, ვისაც შენი  
გახარება დაენანა!  
სიმღერებით გამომზარდე,  
შემასწვლე ანა-ბანა  
მომიტანდი ცვრიან ვარდებს -  
- ვარდს რად უნდა ვარდი, ნანა!

მიყვებოდი ოქროს ზღაპრებს,  
რომ დადგება ოქროს ხანა...  
ნანა, ნანა, დია ნანა,  
სულზე ტკბილო ჩემო ნანა!  
ავვისრულდა განზრახული...  
მტერს დაესო გულში დანა,  
კოლხიდაში გაზაფხული  
დადგა, ოქრო მოიტანა,  
აღარ ისმის ისლის ქოხში  
ოი... ნანა! ოი... ნანა!  
ოდა დავდგით, ისლის ქოხი  
აჩრდილივით გაილალა,  
შენ ჩემს გაზრდას შენატროდი,  
სიკვდილმა არ დაგაცალა;  
ჩემს გმირობას მოსწრებოდი,  
უცოდველო ჩემო ნანა.  
სასთუმალთან ძილისპირულს  
მიმღეროდი, დია ნანა,  
შორს ვიყავი, მიმელოდი,  
ცქერით თვალი დაგელალა;  
ნანა, ნანა, დია ნანა,  
სანატრელო ჩემო ნანა!  
ახლა ჩვენთან აღარა ხარ,  
სამარეში გძინავს წყნარად,  
ოქრო ბრწყინავს, ბალი ბრწყინავს  
და დაგნათის თავზე მკრთალად.  
ბაღში სტვენენ ბულბულები  
და ქარს მიაქვს ხმები ბარად:  
- მამამ ასე დამიბარა,  
დედამ ასე დამიბარა:  
კერია არ გააცივო  
და ზედ ცეცხლი გენტოს მარად.

ღამე არის, ზეცის ნამი  
აციმციმებს რძიან ბალახს,  
მთვარე ოდას გადასცილდა  
და ტყის უკან დაიმალა,  
ჩონგური კი ისევ მღერის,  
სულზე ტკბილო ჩემო ნანა!

ყველა სიამით უსმენდა [ტკბილად მღეროდა ასული],  
აგონდებოდა კოლხიდის ჯოჯოხეთური წარსული  
და მტერი, ხალხის მახვილით ათასჯერ გულგაბასრული.  
უეცრად ხალხის სიმღერამ გააღო კარი ოდისა -  
გზა დაუცალეთ, ოჯახში ხალხის მგოსანი მოდისო,



გამოჩნდა ხელში ვარდებით მოხუცი წელგამართული,  
შვენოდა თეთრი ჭალარა და სატევარი ქართული –  
ვარდებით მორთო ოჯახი და ააჟღერა ფანდური.

\* \* \*

იმ დღეს, როდესაც ხარობდა მზეზე  
კოლხიდის მიწა, ქცეული ბადად,  
მე დავასრულე ამბავი ესე  
და გადავეცი ხალხისთვის ქაღალდს.  
დე, ხალხმა ნახოს და მესაუბროს,  
კარგია, როცა ხალხი გაგიგებს,  
მე ხალხს ვენდობი ყველაზე უფრო,  
თუ მოეწონე, ძეგლსაც აგიგებს.  
უკანასკნელად ვალი მაქვს, უნდა  
მოვიხსენიო მეგობართ წყება,  
არ შემიძლია მე წუთით, თუნდაც  
მათი ამაგის გადავიწყება.

მადლობა შენდა, ნაზო ქალწულო,  
მე ვწერდი შენი საწერ-კალამით  
(რად აფართქალდი ბუდეში, გულო<sup>1</sup>)  
მიიღე ჩემი წრფელი სალამი!  
მადლობა შენდა, ქალო მთოვარევე,  
შენ მისახსოვრე, მგონი, რვეული  
და სიხარულით აღმაფრთოვანე  
ჭაბუკი, ანცი და ჭირვეული.  
მადლობა შენდა, ბავშვივით ჩვილო,  
შენ ააჟღერე მართალო, ბუნების შვილო,  
შენით მაქვს შვება – ნეტარებანი.  
სითეთრე დღისა თოვლებზე დნებოდა,  
იდგა ზაფხულის დღის სიტკბოება,  
მზე ჩადიოდა და სრულდებოდა  
ჩემი ლექსი და ჩემი პოემა.  
მე სხვაგვარ ცეცხლით მეწვოდა სული, –  
უფაქიზესი გრძნობების ბინა  
და შთაგონებით გარემოცული  
ვხეტიალობდი შავი ზღვის პირად!...

÷ ÷ ÷

ერთი არჩეული პოეტი არა მყავს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე  
"ოდისეამ" მოახლინა. რუსთაველზე არაფერს ვამბობ. მისი ლექსი ისე უნდა  
იკითხო ყოველ დილა–სადამოს, როგორც დილა–სადამოს კითხულობენ ბერები  
ლოცვას, და სძლისპირებივით უნდა ილიდინო ჯადოსნური სტრიქონები.

ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს გონებას შოთას შაირით, როგორც დემოსთენი ივსებდა პირს კენჭებით, ენაბრგვილობის დასაძლევად!

\* \* \*

ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს, სამხრეთისაკენ ედემსა, ეფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა, -

ეს სამი გა-გა-გა და ექვსი სა-სა-სა-სა-სა-სა - რუსთაველისად ჟღერს სტრიქონებში; კაი ოსტატი იყო სწორედ ჩვენი მოხუცი რაფიელი.

\* \* \*

ქართველი გლეხი. ნამდვილი გლეხი. კარგად ვიცნობ იმერელ გლეხს, ლეჩხუმელს, მეგრელს, გურულსა და რაჭველს... ქართლელსა და კახელს - უფრო წიგნებით.

პრუდონი ამბობდა: მე მყავს 14 წინაპარი გლეხთა შთამომავლობა. დამისახელეთ თუნდ ერთი ოჯახი, რომელსაც ამაზე უფრო კეთილშობილი წინაპრები ჰყავდაო.

÷ ÷ ÷

დიდუბის საავადმყოფოში ვინახულეთ ახალგაზრდა პოეტი ვასო ლომიძე, - ვლადიმერ უბილაყამ წაგვიყვანა. სანთელივით ჩამომდნარს, სახეზე მიწის ფერი ედო. სიცხისაგან ისედაც გათანგული, ცხელ ქვეშაგებში იწვა და სქელ ლეიბზე კიდევ

ცხვრის ტყაპუჭი ეგო: მცივაო, შემოგვჩივლა, - არაფრით არ იქნა ჩემი გათბობაო.

გათხელებული, გამჭვირვალე ცხვირი... ჩამოღვეთილი თითები! ჩვენთან საუბარი უნდოდა, მაგრამ სიტყვის თქმა უჭირდა.

რედაქციიდან გამოგზავნილი ფული გადავეცით და, გარეთ რომ გამოვედი, ბაღში გაზაფხული იყო, ალუჩები ჰყვოდნენ... ის კი ჭლექით კვდებოდა.

÷ ÷ ÷

ერთმა კრიტიკოსმა (კიდევ ერთმა!) ჩემი პოემა "კოლხიდა" გააზიარა. არ ღირდა ამ პოემაზე კალმის წვერის დაღლა, მელნის დახარჯვა, თოვლივით ქათქათა ქალაღლის დასვრა... ამდენიც არაფერია ის პოემაო...

ამის შემდეგ, იქნებ, გვეღირსოს და ტალახიდან ამოგვიყვანოს მსგავს კრიტიკოსთა სიმძლავრემ, მათმა დიდებამ და მათმა სიქველემ!

\* \* \*

შალვა დადიანმა მიიღო ლენინის ორდენი. მივულოცეთ ახალგაზრდებმა ბინაზე – თერთმეტსართულიან შენობაში; ვიყავით: ლადო ავალიანი, რევაზ მარგიანი, გიორგი კალანდაძე, ალექო შენგელია, ალიოშა საჯაია, ანდრო თევზაძე, შალვა ამისულაშვილი და მე.

"შე-ვით-ვატყვე, არ ეწყინა", უხაროდა. თმაშევერცხლილი მწერალი დინჯად უჯდა მაგიდას და დიდხანს გვესაუბრა.

ჩვენი შეხვედრა კინო-ქრონიკაში გადაიღეს და უჩვენებდნენ კიდეც სრულმეტრაჟიანი ფილმების ბოლოს: დინჯად უზის მაგიდას თმაშევერცხლილი, სახელოვანი მწერალი და თვალეში შევსციცინებთ პირტიტველა ჭაბუკები, – "ჩვენი მწერლობის საიმედო ცვლა", – ასე გვიწოდა შალვამ მაშინ.

÷ ÷ ÷

როგორ გამეხარდა, "დონ კიხოტში" რომ ვნახე ფრაზა: ქვა მოხვდა ლიტრას თუ ლიტრა მოხვდა ქვას, მაინც ვაი ლიტრის ბრალიო. "ქილილა და დამანაშია" ასეთი – ჭაროს ნათქვამი არაკი – "ხელმწიფე და დიდებული": "მე და შენი საქმე ჭიქასა და ქვასა ჰგავს, თუცა ქვა ჭიქასა ეცა, ანუ ჭიქა ქვასა დაჰკრა, ორგანვე ჭიქა დაილეწება და ქვა უვნებლად დადგება".

\* \* \*

რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი, შოთა, ოთარი, რამაზი, მერი, მეგი და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ= რა აცვიათ= ხშირად ზოგ ავტორს აღარც კი ახსოვს, როგორები არიან მისი ნაწარმოების უსისხლხორცო და უსახო გმირები. აბა, დაიძახე: ლუარსაბ თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი! ტარიელ მკლავაძე! სოლომონ მორბელაძე! მოსე მწერალი! ერემია წარბა! სპი-რიდონ მცირიშვილი!

÷ ÷ ÷

გრიგოლ აბაშიძეს ჰქონდა ფრანგულიდან თარგმნილი ფრანსუა ვიიონის რვასტრიქონიანი ლექსი:

მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი,  
ახალგაზრდობა ვატარე ტბილად,  
სად მომეპარა სიბერის ლანდი,  
სად გაქრა ჩემი სიცოცხლის დილა=  
იქნებ ორი ფრთა მიაფრენს წყვილად,  
იქნებ გაქროლა რაშით ფარულად=  
დავდივარ, ვემბე გაპარულს ფრთხილად,

ვერ გამიგია, საით წასულა.

ალიოშამ წაიკითხა და თქვა: ეს კაცი (ფრანსუა ვიიონი) ჩვენსავით ახალგაზრდა იყო, ქეიფობდა, ლაღობდა, დროს ატარებდა, ახალგაზრდობას კი მისტირისო. ასეთი წუწუნნი ჩვენთვის ჯერ ადრეაო.

÷ ÷ ÷

აქილევსს რუსთაველის გმირები მირჩვენია: "სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი" - აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყოს, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და... მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი ურჩვენია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც აიდესში ჩასულ ოდისევსს.

÷ ÷ ÷

მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა - რაფიელის "სამშობლო ხევსურისა" ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმით, შოვინიზმის სუნი უდისო. სულ სულელი ვუძახე: უნდა მეცემნა, ძლივს გამასწრო...

÷ ÷ ÷

ისტორიული რომანი, რომელიც აამაღლებს ერს! გამოგონილი კი არა, ნამდვილი! არა ისეთი მეფეები, მხოლოდ და მხოლოდ გარყვნილები რომ არიან, თავადები - მოღალატენი და გლეხობა - აჯანყებული და გაყაჩაღებული! ასეთი ქვეყანა აქამდე დაიღუპებოდა!

÷ ÷ ÷

აკაკი! აკაკი და სულ აკაკი!  
სადაც დიდოსტატი აკაკი იყო, მასთან იყვნენ: მამია გურიელი, დუტუ მეგრელი, გრიშა აბაშიძე, ჭალადიდელი, ცახელი, მაჩხანელი, ვოლსკი-უმწიფარიძე, ჩვენი დომენტი თომაშვილი და კიდევ... და კიდევ... სხვა ცნობილი და უცნობი ქვეოსტატები.

÷ ÷ ÷

სოფლიდან ჩამოვიდა პოეტი გიორგი შატბერაშვილი. იქ მასწავლებლადაა. ცოტა გამხდარია, გასოფლელეებულია. ახლდა პატარა ბიჭი - ზებედე, პაპის სახელი ჰქვია. ლექსებს ხომ არ წერს შენი შვილი-მეთქი, გავეხუმრე, მაგას კი არა, მეც აღარ მცალია ლექსების საწერადო, მომიგო გიორგიმ.

÷ ÷ ÷

რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი?

÷ ÷ ÷

მწვანე ბაზარში ვნახე გალაკტიონი. ქეიფობდა ქუთაისელ მემწვანილეებთან და "მეტაჩკეებთან". ზამთარი იყო - ქუთაისური ქარ-ყინვა. გულგაღელილს მოუჩანდა წითლად აღაჟღაჟებული ვაჟკაცური მკერდი.

\* \* \*

"გამო შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!" მე-19 საუკუნეში არავის არა აქვს ასეთი რითმები. აქ რაფიელ ერისთავი სწორუპოვარია. კიდევ აქვს იმ დროისათვის ახალი: მე-რანი-ვერავენ-ფერავენ, ხირიმი-ჭირიმე და ა. შ.

÷ ÷ ÷

ძველებში: შოთა - საბა - გურამიშვილი - ბარათაშვილი - ილია - აკაკი - ვაჟა - ყაზბეგი - კლდიაშვილი - ნინოშვილი; ცოცხლებში: ნიკო ლორთქიფანიძე - გალაკტიონი! ამათ თავიანთი საკუთარი მადლი და შუქი აქვთ!

÷ ÷ ÷

"ვინც ღვინოს არ ეტანება, ყველა ღვინისმსმელი ლოთი და ვაგაბუნდი ჰგონია. ყურძნისა და ღვინის ქვეყანაში ლოთები უფრო ნაკლებია, ვიდრე უვენახო და უვაზო მხარეში", - ეს გერცენის ნათქვამია.

÷ ÷ ÷

რა მომწონს "კაკო ყაჩაღში"? "ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი"; "მითხარ, დედალო რას აკეთებდი?" „და შეუნგრია გულის ფიცარი“; „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!"; ორივე წაიღო ერთმა ნაღველმა...

÷ ÷ ÷

სამოციანელთა მსგავსად ჩვენც უნდა ვუცადოთ ვინმე დიდის მოსვლას. ჩვენს ზურგზე გადაივლის ის დალოცვილი, წაწარუძღვება მთელს მწერლობას: თავს ისახელებს, ჩვენც გვასახელებს, ხალხს ასახელებს. წინასწარ ქედს ვიხრი მის წინაშე!

÷ ÷ ÷

არ მეხარება პინდაროსის ბედი, ოდეს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა. საზიზღარია დაქირავებული პოეტი!

÷ ÷ ÷

დღეს ბაღში გადავიღეთ სურათი მე, მირზამ, შალვა დემეტრაძემ, იაკობ (ჭაკვი) ბალახაშვილმა. ვზივართ მერხზე და შევყურებთ ფოტოაპარატს. ესაა და ეს, მეტი რაღა გვინდა!

\* \* \*

სახარებას ქართული სიტყვისათვის უფრო ვკითხულობ. ნეტარ იყვნენ გლახაკნი" - ჩემი საქმე არ არის. ცხოვრება წარმართივით უნდა გიყვარდეს.

÷ ÷ ÷

უნდა დავწერო ზღაპრები ლექსად:  
როგორი იქნება გალექსილი "ასფურცელა" და ირმისა" - ორი საუკეთესო ქართული ზღაპარი.☞

÷ ÷ ÷

ჩვენს ნიკას "ორმოცი წლის ვუნდერკინდი" შეარქვა ალიოშა საჯაიამ. მასვე ეკუთვნის ნიკაზე თქმული: „მდივანი გვყავდა ნიკოლა, ვაქებდით, - არა იყო რა!“

÷ ÷ ÷

მშვენიერი ხალხური სიმღერები: "ფერად შინდი", "ვახტანგური“, „შვიდკაცა“, „წინწყარო“, „ბროლის ყელსა“ და სხვები, - მეტად ძნელად შესასრულებელი და ჩახლართული სიმღერებია.

÷ ÷ ÷

ბედი ქართლისა", აჩრდილი" და კიდევ სხვა რომელი☞ "თორნიკე ერისთავი!" ეს სამი პოემა ეყოფა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.

÷ ÷ ÷

ქვეყანას მორწმუნე ადამიანი უნდა მართავდესო, გვითხრა ერთხელ

ქუთაისის კათოლიკეთა ტაძარში პატრმა დონ დამიანე სააკაშვილმა.

÷ ÷ ÷

"სულმნათნო, მადლი თქვენს გამჩენს, დიდება ერსა, თქვენს მშობელს" -  
ეს სიტყვები უნდა წაეწეროს ილიასა და აკაკის ერთობლივ ძეგლს, თუკი  
ოდესმე დაიდგმება ასეთი.

÷ ÷ ÷

მშვიდობით, ქალავ, დე არხვატს დარჩეს  
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი! -  
ეს ჩვენი კარგი გაბრიელისაა, ჯაბუშანურის.

÷ ÷ ÷

დამამახსოვრდა: უშანგი ჩხეიძის ელვარე თვალები, ოდნავ მოღიმარი,  
ვაჟკაცურად ლამაზი სახე, შნოიანი აღნაგობა. ქუთაისის თეატრში ვნახე  
ერთხელ.

÷ ÷ ÷

კარგი სიტყვებია: ლაჯანური, ლაბეჭინა, ლეხიდრისთავი, ლემკაში,  
ლალუმელა, ლეხიდარი, ლაილაში, ლარჩვალი, ლაჯანა, ლასხანა, ლახეფა,  
ლასუიაში, - მთელი ლეჩხუმი ...

÷ ÷ ÷

"შემოდგომის საღამოა მშვიდი,"  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტბი..." -  
ეს - ტერენტი გრანელია! ძალიან მომწონს!

÷ ÷ ÷

სასადილოში რომ კაცი იყო, წარბს ზემოთ ხალი ჰქონდა, თითქოს ბუზი  
აჯდა. როგორ მინდოდა ამეფრინა: ერთხელ "აქმაც" კი შევუძახე..

÷ ÷ ÷

ალიოშა საჯაიას თვალები - რიბირაბო, დანისლული, დანაშაულზე  
წასწრებულებით დამორცხვებული.

\* \* \*

ერთის სურათზე თქმული: ისეთი გამოხედვა აქვს, ყველაფერს იკადრებს: გილალატებს, მოგატყუებს, ორ გროშად გაგყიდის.

÷ ÷ ÷

ნარიყალა - ნარიგ-ყალა (მიუვალი ციხე სპარსულად); სოლოლაკი - სულუ-ლახი (სარწყავი არხი - იმავე ენაზე).

÷ ÷ ÷

"რა ფერისაა ქვეყანა, ნეტავ მაჩვენა თვალითა?" - რა სევდა ვიგრძენი ვაჟას ამ სტრიქონების წაკითხვისას!..

÷ ÷ ÷

ხომ გენიალურია, დავით კლდიაშვილის არისტო რომ ბოხობს დაახეთქებს მიწაზე?

÷ ÷ ÷

ლეონარდოს "საიდუმლო სერობა" სვეტიცხოვლის კედელზე რომ ეხატოს, რა დიდებული საქმე იქნებოდა!

÷ ÷ ÷

ბუნების კარი", - იშვიათია ასეთი სახელწოდება. ბევრ წიგნს არ ჰქვია ასეთი დიდებული სახელი.

÷ ÷ ÷

მინდა, მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა.

÷ ÷ ÷

ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება...

÷ ÷ ÷

უნდა დავწერო ქართული კომიკური რომანი ლექსად.

÷ ÷ ÷

უნდა გავმრავლდეთ მალთუსის\* ჯინაზე!

÷ ÷ ÷



ფიროსმანს ყველაფერი გულუხვად აქვს: პური ვარო, ღვინო ვარო!

÷ ÷ ÷

დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი.

÷ ÷ ÷

ასი წლის კაცი, დოსტი ფიროსმანის, დადის ქუჩაში, უსინათლო...

÷ ÷ ÷

სანჩო-პანსა - იმერელი გლეხია, ზემოური, ან ოკრიბელი.

÷ ÷ ÷

ანდაზა: მდივნები წავლენ, წამოვლენ, მწერლები დარჩებიანო.